თბილისის გუნდები იმარჯვებენ

20 ივლისს მოსკოვში შედგა მორიგი შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ ადგილობრივი “ტორპედოს” და თბილისის “დინამოს” გუნდები.
თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: მარღანია, რუსაძე, პანიუკოვი, კილაძე, ანთაძე, ჯავახაძე, ჭკუასელი, გაგნიძე, ვარდიმიადი, მახარაძე, თოდრია.
ანგარიში მე–10 წუთზე გახსნა ჭკუასელმა. 31–ე წუთზე მოსკოველმა ნაზაროვმა ანგარიში გაათანაბრა. დინამოელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაშის მეორე ნახევარი. ვარდიმიადიმ და თოდრიამ თითო ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით – 3:1.

“ლელო”, 22 ივლისი 1951 წ.